

- გ) გოასტია და იქორწიოულობების დათით თიღებული იქორსავალი;
- გ) აგრეთვე საკუთარი შემოსავალი;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი;

#### **მუხლი 6. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას**

ცენტრს შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

#### **მუხლი 7. კონტროლი**

ცენტრის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.

#### **მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ცენტრის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ახორციელებს გამგებელი.

#### **მუხლი 9. დასკვნითი დებულებები**

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.